

## სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

### „ციფრული ტექნოლოგიები: დღევანდელი და გამოწვევები“

2018 წლის 10 მაისს, 11:30 სთ., საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნება პროფ. კონსტანტინე კამკამიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ციფრული ტექნოლოგიები: დღევანდელი და გამოწვევები“ (რეგისტრაცია დაიწყება 10:30 სთ.).

კონფერენციის მიზანია საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების, მართვისა და მოდელირების, ენერგეტიკისა და საინჟინრო ფიზიკის, მათემატიკის ინჟინერიაში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტების საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული მიღწევების გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, რუსული.

კონფერენციის სამუშაო სექციები:

- ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიები;
- ციფრული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები ტექნოლოგიურ პროცესებში;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, განათლებაში, ინჟინერიაში და მეცნიერებაში.

**კონფერენციაში მონაწილეობისათვის სტატიების წარდგენის ვადები და წესი:**

- კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2018 წლის 26 აპრილის 17<sup>00</sup> სთ-მდე უნდა წარმოადგინონ მოხსენების სათაურები და რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე.
  - სტატია შესრულებული უნდა იყოს კონფერენციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე, რომელსაც ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე;
  - ნაშრომის საერთო მოცულობა (ლიტერატურისა და წყაროების ჩათვლით) უნდა იყოს 3-6 გვერდი.

### კონფერენციის მასალების გაფორმების წესი

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

**სტატიის ელექტრონული ვერსია შემდეგი წესების დაცვით:**

- ნაშრომი უნდა იყოს წარმოდგენილი A4 ფორმატით, doc ან docx ფაილის სახით (MS Word);
- ველები: ზედა – 2,0 სმ, ქვედა – 2,0 სმ, მარცხენა – 2,0 სმ, მარჯვენა – 2,0 სმ;

- ქართული ტექსტისთვის გამოყენებული უნდა იყოს შრიფტი Sylfaen, ზომა 12; სტილი Normal.
  - ინგლისური და რუსული ტექსტებისთვის – შრიფტი Times New Roman, ზომა 12; სტილი Normal;
  - ინტერვალი სტრიქონთა შორისი – 1,5;
  - ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს ნებისმიერ გრაფიკულ ფორმატში გარჩევადობით 150 dpi;
  - მათემატიკური ფორმულები აკრეფილი უნდა იყოს რედაქტორ Equation-ის გამოყენებით;
  - სტატია შედგენილი უნდა იყოს ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
  - ნაშრომს დართული უნდა ჰქონდეს გამოყენებული ლიტერატურის სია, რეზიუმე (არაუმეტეს 1000 სიტყვისა) და საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიების ელექტრონული ფორმა მიეწოდება საორგანიზაციო კომიტეტს ელექტრონულ ფოსტაზე [e.gvaramia@gtu.ge](mailto:e.gvaramia@gtu.ge)

#### სტატიის გაფორმების წესი:

- ზედა მარცხენა კუთხეში – ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი (მუქი შრიფტი-Bold). სახელისა და გვარის ქვემოთ: ორგანიზაცია, აკადემიური ხარისხი და თანამდებობა (ჩვეულებრივი შრიფტი);
- 1 ინტერვალის შემდეგ სტრიქონის შუა ნაწილში – ნაშრომის დასახელება მუქი შრიფტით;
  - 1 ინტერვალის შემდეგ – საკვანძო სიტყვები სტატიის ენაზე.
  - 1 ინტერვალის შემდეგ – ნაშრომის ტექსტი; ტექსტი უნდა შედგებოდეს შესავლის, ძირითადი ნაწილის და დასკვნისაგან.
  - 2 ინტერვალის შემდეგ – გამოყენებული ლიტერატურის სია.
  - 2 ინტერვალის შემდეგ რეზიუმე და საკვანძო სიტყვები ინგლისურ ენაზე,

**ყურადღება: წესების დარღვევით მოწოდებული სტატიები არ განიხილება!**

სტატიას თან უნდა ახლდეს ავტორ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია.

სარედაქციო კოლეგია პატივს სცემს ავტორის ნებისმიერ შეხედულებებს.

ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელია ავტორი.

კონფერენციის საკითხებთან დაკავშირებით მიმართეთ

ე. გვარამია [e.gvaramia@gtu.ge](mailto:e.gvaramia@gtu.ge) ☎:593 38 24 58

ჟ. გოგიაშვილს [jujugol1@mail.ru](mailto:jujugol1@mail.ru)